№ 169 22 მარიამობისთვე, სამშაბათი 1866—1878 22 მარიამობისთვე, სამშაბათი № 169

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Абиралоговъ სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ив. Абиро ღოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: [illegible] წლისა—8 მან., ნ ხევარ წლისა—4 მ.ნ. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲧᲝᲚᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ხეველებზე.

ფასი განცხადებისა: [illegible] ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. Даубечатдели სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲮᲔᲚᲝᲜᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ.

სწორეთ მოდათ შემოვიდა სხვა-დასხვა საზოგადოებების შედგენა ჩვენს თბილისში და მგონია მოდას უნდა მიეაწეროთ იმის დაფუძნებაცა, რომელსაც ჰქონია „ხელოსნების დამხმარებელი საზოგადოება" და რომლის წესდება უკვე დამტკიცდა მთავრობისაგან.

ეს ახალი საზოგადოება, როგორც წესდებიდამ სჩანს და თვით სახელიც აჩვენებს „კეთილის-მყოფელი" საზოგადოებათაგანს ეკუთვნის.

ვისაც ხელოსნების აღებ-მიცემა ესმის და ისიც, თუ რა გარემოებაში არიან ნივთიერის თუ ხელოვნურის მხრივ და ან კიდევ ვითარი დამოკიდებულება აქვსთ მათ ვაჭრებთან, რომელთანაც თავის ხელობისთვის საჭირო მასალას ყიდულობენ,— დაგვეთანხმება, რომ ამ გვარის კეთილის მყოფელი საზოგადოება ვერა ფერს წამალს ვერ დაადებს იმათ სატკივარს და ისევე შედგი ექნება, რაც ყველა სხვა კეთილის მყოფელ საზოგადოებებსა აქვსთ ჩვენში—ან მოისპობა და ან უფერულად და ღუნედ იწარმოებს და მაშასადამე სარგებლობასაც მაგდენს ვერაფერს მოიტანს.

ხელოსნების დახმარებისათვის საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა მდგომარეობაში არიან ისინი თავიანთ ხელობისთვის საჭირო მასალის მოპოვების შესახებ, და აგრეთვე ისიც, თუ მათი ხელოვნური ცოდნა რა მდგომარეობაშია.

ჩვენი ხელოსნები უმეტეს ნაწილად უქონელი ხალხია, დღიურად იკვებება თავის ცოლშვილით, ამიტომ იძულებულია ყველა თავის ხელობისათვის საჭირო მასალა წვრილ-წვრილად შეიძინოს მხოლოდ მაშინ, როდესაც შეკვეთილი აქვს ვისგანმე საქმე. აქ ის იძულებული ხდება იქონიოს აღებ-მიცემობა მხოლოდ აქაურ ვაჭრებთან, რომელთაც თვითონ ეს მახალა მეხუთე და მეოთხე ხელიდგან თუ არა აქვს ნაყიდი, მეორე და მესამე ხელიდგან ხომ რალა თქმა უნდა. ამ მასალის ყიდვაში იმან ღირებულზედ მეტი ფასი უნდა მისცეს, ანუ რომ მანეთიანში უნდა გადაუხადოს ვაჭარს მანეთი და ხუთი შაური, ამ ანგარიშით ყველა ხელოსნისა ზედი-ზედ დღიური წარმოება დღეში ხუთი მანეთი რომ ჩავაგდოთ, გამოვა რომ ხელოსანი მარტო მასალის მოპოვებაში ჰკარგავს მთელ წელიწადში (წელ. 300 დღე რომ ვიანგარიშოთ) ორმოცი თუმნამდის! . . .

ამოდენა ფულის მეტ-ნაკლებობას ხელოსნის ცხოვრებაში დიად საგრძნობელი კვალის დაჩნევა შეუძლიან, განა?

ახლა ხელოვნური ცოდნა ავიღოთ იმათი. ეს ცოდნა იმათ დიად მცირედი აქვსთ, რადგან ხელობას თფილისში, უფროს ერთ შემთხვევაში, უცოდინარი უცოდინარისაგან სწავლობს. ამ მიზეზის გამო აქაური ხელოსნის შეჯიბრება მოსულა უცხო ქვეყნელი ხელოსნებთან მოუხერხებელია, და ამის გამო აქაურ ხელოსნებს უცხოებთან შედარებით—ბაზარი მცირედი აქვსთ. აქედამ წარმოსდგება იძულება, ვაინაჩრობა საქმის აღებაში: ხელოსნები ხშირად საქმეს იმიტომ იღებენ, რომ მშივრები არ დარჩნენ ცოლ-შვილიანად. აქედამ წარმოსდგება ხელობის ფასის დამცირება და ეს უკანასკნელი კიდევ იმას აიძულებს ხელოსანს, რომ მან ვის ცოდნა ზედ კიდევ უარესად აღარ რულოს საქმე. ერთის სიტყვით გარემოება იმისი იმ გვარია, რომ ხელოვნებაც უკან-უკან მიჰყავს, სიყალბეში მკვდრდება და ცხოვრებაც მის დაგვარად უფრო უფუჭდება. ახლა ამასაც ნუ დაივიწყებთ, რომ „უსაქმო" დროს მასალის უქონლობისაგან რამდენ დროს ჰკარგავს უარაო, დაღონებული. . . .

აი ჩვენი ხელოსნების უმთავრესი სენი, რომელიც დიდს ძალა-გამჭრიახობას ითხოვს განკურნვისთვის და ვიაც ფიქრად მოსვლია მათი—ქრისტეს გულისათვის ორიოდე გროშის მიგდებით საქმეს ვერ გაკეთებს; იარას თუ მიზეზი სისხლში აქვს, მარტო მალამო ვერას უშველის—თვითონ სისხლს უნდა წამლობა, წამლობა ძირითადი.

ნ. ა.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ჩვენ ნახეთ ამ დღეებში ერთი ძველი ხელთ-ნაწერი წიგნი, სახელად „ᲕᲔᲜᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲘ", რომელიც გადმოუთარგმნია ლათინურიდამ რუსეთის ღენერალ-ადიუტანტს და საქართველოს ძეფის პირმშოძ ეს და ტახტის მემკვიდრეს დავით ბაგრატოვანს.

*** ამ დღეებში გამოვიდა ერთი პატარა ქართული წიგნი, „ᲣᲐᲠᲐᲑᲐᲚᲔᲚᲘ ᲧᲐᲩᲐᲚᲘ", Გ. ᲓᲔᲕᲜᲐᲫᲔᲡᲘ.

*** სიღნაღიდამ იწერებიან „მელუში", რომ იქ ამ ჟამად ფუთი პური შვიდ აბაზათ ფასობსო; სხვა ხორაგეულობაც გაიაფდაო.

*** გამოვიდა მეორე წიგნი სომხური პედაგოგიური ჟურნალისა, „სამასწავლებლო ფურცელი", რომელშიაც დაბეჭდილია შვიდი გვარიანი წერილები.

*** თფილისიდამ სამზღვარ გარეთ გაემგზავრა ორი ახალგაზდა ქართველი ყმაწვილი კაცი. ერთი, უ. ბაროსოვ ბერიძე, იტალიაში მხატვრობის შესასწავლად და მეორე, რ. ისარლოვი, პარიჟში, სადაც მან წაიღო აქედამ რამოდენიმე ქართველთ მქადაგებლების სურათები დასაბეჭდავათ.

*** გაზეთ „კავკაზში" იწერებიან:

„ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲜᲘᲨᲠᲐᲮᲐ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲛᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲐᲠᲗᲝᲡ ᲛᲝᲙᲔᲜᲭᲘᲚᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐᲞᲝᲚᲘ ᲣᲐᲠᲡᲗᲐᲜ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲨᲔᲣᲓᲒᲜᲔᲜ ᲛᲣᲨᲝᲑᲐᲡ (ᲤᲝᲚᲓᲠᲘᲐᲓᲩᲘᲙᲘ ᲗᲐᲛᲐᲛᲨᲝᲕᲘ 303,000 ᲛᲐᲜ.) ᲓᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲐᲛ ᲒᲖᲘᲡᲐ (30 ᲕᲔᲠᲡᲘ) ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲡ. ᲔᲡ ᲒᲖᲐ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐᲞᲝᲚᲘᲓᲐᲛ ᲣᲐᲠᲐᲘᲐᲚᲘᲡ ᲛᲗᲘᲡ ᲫᲘᲠᲨᲘ ᲡᲝᲤ. ᲩᲘᲣᲩᲘᲣᲥ-ᲓᲐᲠᲐᲛᲓᲔᲜ."

*** ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲚᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲣᲨᲕᲔᲡ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲢᲧᲝᲛᲝᲓᲐᲗ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲮᲐᲠᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ.- ᲐᲣᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ ᲛᲘᲡᲓᲔᲕᲓᲜᲔᲜ ᲣᲙᲐᲜ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲧᲘᲥᲘᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘᲗ. ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ ᲛᲘᲦᲔᲠᲝᲓᲜᲔᲜ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲮᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲜᲪ ᲛᲘᲘᲥᲪᲘᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲘᲛ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲘᲐᲠᲔᲡ: ᲤᲐᲜᲯᲠᲔᲑᲘᲓᲐᲛ, ᲑᲐᲚᲙᲝᲜᲔᲑᲘᲓᲐᲛ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲔᲑᲘᲓᲐᲛ ᲨᲔᲡᲪᲥᲠᲝᲓᲜᲔᲜ ᲘᲛᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ.

წერილი რედაქტორთან

—

უფალო რედაქტორო!

გთხოვთ მისცეთ ალაგი ამ წერილს თქვენს პატივს-ცემულს „დროებაში“.

ამა 1-ს აგვისტოს თთვემდინ, თფილისის მეტეხის საპყრობილეში მყოფი ტუსაღების მდგომარეობა და ქცევა ეოთობ შესანიშნაი და საცინელი იყო. როგორც ახალ ტუსაღს მიიყვანდენ ციხეში, მყისვე მოგროვდებოდნენ პატიმარნი უმეტეს ორასისა და ეკითხებოდნენ ახალი ამბავი რა ისმისო?—და მეტადრე თუ ნასწავლი ვინმე ჩაუვარდებოდათ ხელში, თქვენი მტერია, იმას არც დღე და არც ღამე ექმნებოდა მოსვენება სხვა და სხვა კითხვებისაგან. ამ ნაირად მე ახალს ნაალმდგომევში მათს ოღბალზედ ჩამსვეს იქ და ვინემ სეკრეტში ვიმყოფებოდი, მოსვენებულათ ვიყავ, და ოდეს განმათავისუფლეს სეკრეტიდგან, იქამოძდე შევიქენ იძულებული ტუსაღების კითხვებით, რომ უნდა მვთხოვნა უკან ჩავესვეთ სეკრეტში, სადაცა მოსვენებით ძილს მაინც ვეღირსებოდი. თუ ვისმეს დაიბარ ბდნენ სუდში გასასჯელათ ან ჩვენეის ჩამოსართმევად და მოახერხებდა გაზეთის შამოტანას, ერთიც ძლიერ შესანიშნაი კამედია მაშინ შეიქმნებოდა, ხალხი ერთი მეორეზედ დგებოდნენ და გულს მოდგინედ უგდებდენ ყურს კითხვას გაზეთისას. ბაზარნიკი რამდენიც ბაზრიდგან დაბრუნდებოდა, ერთბაშად ორმოცი მეტი ხმა ერთად ყვირილით ეკითხებოდა ახალი ამბავი რა ისმისო!

ასეთმა მათმა მდგომარეობამ მოგვაფიქრებინა ჩვენ რამდენსამე პირს, ვინც ვიყავით ნასწავლნი, რომ მივართვათ თხოვნა, პროკურორის ნება დართვით და სმოტრიტლის საშუალობით, ყველა გაზეთების რედაქციებს, იქმნება ერთ-ერთმა მაინც კეთილ-ინებოს დაკმაყოფილება ჩვენის თხოვნისაო? დაესწერეთ არზები და გაგზავნეთ, რომლებით ვითხოვეთ შამოგვწერონ უფულოთ ყოველ დღე გაზეთები. ჩვენმა თხოვნამ დაიმსახურა ყურადღება, და ყოველი რედაქციები დიდის კმაყოფილებით თანახმა გახდენ ჩვენს თხოვნაზედ, და მოგვდის ყოველ დღე ყოველ რედაქციიდგან ორ-ორი ეკზემპლიარი უფასოდ. რაწამში კი მიეიღებთ, შევკრებთ ტუსაღებს და ხმა მაღლა წაუკითხავთ და ვისაც არ გაეგება აუხსნით კიდეც იმათებურად. რუსები, ქართველები, სომხები, თათრები, მეგრელები, ოსები, ლეკები და სხვანი ერთხმად იძახიან, ღმერთმან აღღეგრძელოს ამ გაზეთების გამომცემი და გამომგზავნიო! ერთიც შესანიშნაი ის იყო, რომ ყველა ტუსაღებმა მეტეხის ეკკლესიაში წმიდა შუშანიკის ღლეობაში იყიდეს წმ. სანთლები და შესწირეს ეკკლესია, სადღეგრძელოდ რედაქტორებისა, ასე რომ საშინლათ გაანათლეს ეკკლესია, თითქმის კედელზედაც იყო მირჭმული სანთელი ანთებული,—ეს ჩვენი გაზეთების მიღების ილიუმინაცია იყოსო, და იძახდენ: ღმერთო მიეც დღეგრძელება და ნუ შემოულევ აზრებს უ. უ. რედაქტორებსო; ერთი სიტყვით ამ გაზეთებით ისე ხარობენ, როგორც თავის-უფლებას. ეხლა მთხოვეს დაგვიწერეო, რომ მადლობა მოვახსენოთო უ. უ. მეგაზეთეებსაო, რაზედ ყველანი ერთობით განუზომელს მადლობას შამოგწერავენ, თქვენის ყურადღებისათვის, და ბრჭობლად ეევდრებიან შესაძლებელს ზეგანეულებასა, თქვენის დღეგრძელებისა და ღლითი-ღლე კეთილ-წარმატებისათვის.

ტუსაღებს ეს განზრახვაცა აქვთ, რომ ითხოვონ და გამართონ ციხეში სკოლა, როგორც წიგნის ჰასწავლისა, აგრეთვე ყოველ ნაირი ხელობისა. იმ სკოლას მოუნდება ციხეში ერთი კაზამატი.

პატიმარი ისიდორე ოსავა.

1878-სა წელსა, აგვისტოს 9-სა დღესა.
საპყრობილე მეტეხი

ომის შემდეგ

ოსმალეთი

ჰავასის საგენტსვოს ათინის ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ ვითომც ინგლისს უთხოვნია საბერძნეთისთვის, რომ ის დადგეს მშვიდობიანათ და შეჰპირებია შვიმდგომლობას ელლინის კითხვის გარდაწყვეტის თაობაზედაო.

იგივე ტელეგრამმა ამბობს, რომ ციპრის კუნძულის მცხოვრებლები არ არიან კმაყოფილნი ინგლისის ყოფა-ქცევაზედაო.

— ვენის გაზეთებში იწერებიან, რომ ევროპის არა მშვიდობიან მყოფობის გამო ბრატიანოს სამინისტრომ გადასწყვიტა, რომ თელ რუმინიის ჯარს დაურიგოს ახალი სისტემის თოფები, რისთვისაც შეეკრა კანტრახტით ზერმანიის ფაბრიკანტებს, რომ უთუოდ დაუმზადონ ეს თოფებიო.

ფელეტონი

ზელა ნათელაშვილი

ერთგული რაინდი მეფე ერეკლესი.

წარსულს საუკუნეში, მეფე ერეკლის დროს, საქართველოში სცხოვრებდა ერთი გამოჩინებული და მეფის ერთგული ბლეები, სოფ. ბაზალეთს, ზელა ნათელაშვილი, რომელიც ისეთი მეფის ერთგული, ლონიერი, და მეომარი კაცი ჰყოფილა, რომ მის დროს მისებრივი არავინ მოიძებნებოდა საქართველოში. ბევრს ალაგას გამოუჩენია სიქველე მეფის წინაშე და ბევრს ალაგიდგან მარტოდმარტოს განუდევნია ძტერი შინადგან. ამისათვის ის მეფესაც ძალიან ჰყვარებია, როგორც ამბობს ჩვენი ხალხი. აი რამდენიმე ცნობა, რომელიც ძასზე გამოგონია ჩვენი მოხუცებულებისაგან.

ნათელაშვილი ისეთი დიდი ლომისა და ცხერის პატრონი ჰყოფილა, რომ თელი არაგვის ხეობის მთა და ველი მასა სჭერია მეფე ერეკლეს ბრძანებით და იმასაც მაგიერი ბევრი შემწეობა უჩვენებია ერეკლესათვის: ასობით და ორასობით ლომი შიურთმეია ჯარებისათვის, ხშირად ორასი და სამასი ფუთი ჯაგარიც.

როდესაც სადმე, მტერი დაეცემოდა ხოლმე საქართველოს, ზელა ნათელაშვილი რამწამსვე შეიტყობდა, თავის გამოჩენილ მეომრებით ხელ-და-ხელ ცხენეით დაერჭობოდა ხოლმე მტერს, განდევნიდა, ტყვეებს დაიხსნიდა და ისე გაეობრუნდებოდა შინ. ბევრს ომებში ჰყოფილა ზელა და ბევრს ალაგას გამოუჩენია იმას სიქველე და მამაცობა მეფის წინაშე.

ერთხელ ზელას მეფე ერეკლესაგან შიკრიკი მიუვიდა, ამ მოკლე ხანში დაღესტნიდამ ლეკის ჯარი ემზადება ქართლის ასაოხრებლათ, და შენ იცი, ჩემო ბიორგი, როგორ დაჰხვდები და რა ნაირათ უპატრონებ ქართლსაო.

შიკრიკის მიღებისათანავე, ზელა მოაგროვებს თავის მეომარ ამხანაგებს, რომლებიც შეიმოსებიან თოფ-იარაღში და წავლენ მტერთან, მცხეთის ზემოთ, სოფელ ნატახტრის გვერდზე.

ამ დროს ზელას ერთი ირემი შეხვდება არაგვის პირზე: ზელა ესვრის თოფს და მოჰკლავს; დაანთებენ ცეცხლს, ირემს ხეზე ჩამოკიდებენ და მეომრები დაიძინებენ. დარჩება ზელა მღვიძარე, იგი მოიხსნის იარაღსა და დაუწყებს ირემს ტყავიგბას. შუა ღამე რო შეიქნება, ერთბაშათ მტერი გარშემო შემოერტყმის ჩუმათ. ბიორგი რომ დაინახავს მტრის ჯარს, შეჰყვირებს მრისხანეს ხმით: ეინა ხართო? აბა აქ მოდით, სულ ამ ლომის ხორცით მოგთხუპნითო! ლეკებს ირემი თურმე ლომი ეგონათ და ეს რო გაიგონეს უკან დაბრუნდნენ. ამ სიტყვეით გადარჩა ზელა იმ ღამეს. მეორე დღეს გაალვიძებს თავის ამხანაგებს და შეექნებათ ფიცხელი ომი. მტერზე გიმარჯვებენ და გათენებისას ტყვეებითა და ნაშოვნით ქალაქისაკენ დაბრუნდებიან მეფესთან. დილის მინდორს რო გამოვლენ შეხვდებიან ლეკების ჯარს და დილის მეცხვარეებს, რომლებიც ტყვეთ წაუყვანიათ ლეკებს დილიდგან საქონლით. აქაც გაუჩნდებათ ომი და ზელა დაამარცხებს ლეკებს, ტყვეებს გაანთავისუფლებს და წამოვა მეფესთან გამარჯვებული. მეფე დიდათ დაუმადლებს იმას.

ზელა ნეთელაშვილი თავის ამხანაგებით მეორე დღეს წავა მანგლისისაკენ რადგანაც იქაც დიდი შიში ჰყოფილა. მანგლისთან რო მივა, შეემთხვევათ დიდი ბრძოლა. აქ, სხვათა შორის, ბიორგის დასჭრიან, რადგანაც პირველათ და პირ-და-პირ ის შეეარდება მტრის რაზმში საომრათ.

— ბოლგარიიდამ გაქცეული თათრები ბევრი ისევ ბრუნდებიან თავიანთ ადგილებზედ. ზოგს იმათმანს ასახლებენ გაქცეული ჩერქეზების მიწა-წყალზედაო, რადგანაც ამ ჩერქეზებს ნება აღარ აქვსთ იქ დაბრუნებისა და დასახლებისაო. ბოლარიელები ძოხარულნი არიან თათრების დაბრუნებით დამშვიდებას აძლევენ იმათ, რომ დაესახლონო. მხოლოდ ია სოფლები, სადაც ბევრი იყო თათრები და აწუხებდნენ ბოლგარიელებს, არ არიან მოხარულნი იმათ დაბრუნებაზედაო, იწერებიან რუსულ გაზეთებში: გაქცევის დროს რომ ზოგ თათრებს გაუტაცნიათ საქონელი ბოლგარიელებისთვის, ისევ უკან მოჰყავთ და პატრონებს უბრუნებენო.

—

სარაევოს აღებაზედ ბოსნიაში მომქმედი ჯარია სარდალი ფელდცეიხმეისტერი ფილიპოვიჩი იწერება ტელეგრაფით, 19 აგვისტოს, სხვათა შორის შემდეგს: „ძაკანს ახლოს ფელდმარშალ-ლეიტენანტს ჰქონდა ბრძოლა განდგომილებთან და 17 აგვისტოს წავიდა ვისოკზედ, საითაც გაცხარებული ბრძოლის შემდეგ უკან დააწვევინა მოწინააღმდეგებს, და რაკი ახალი ჯარიც მოეშველა იმას, მაშინ განდგომილებმა მდ. ბოსნის მარცხენა მხარისკენაც დაიწყეს. ნაშუადღევის ორს საათზედ ფილიპოვიჩი გუსარების ორი ესკადრონით და ორი ზარბაზნით წავიდა სარაევოსაკენ მტრის დასათვალიერებლად, ტეტეტლოფი მთელი თავის რაზმით ავიდა ძოზარსკო-ბუოდოზედ. . . . შვიდის ნახევარზედ ტეტეტგოფმა უბრძანა ჯარს შებრძოლება სარაევოს ციხედარბაზისა, რომელიც კედელით შემოზღუდულია და რომელზედაც განდგომილებს დაუდგათ რამოდენიმე ზარბაზანი. რვის ნახევარზედ ბუჟეიჩი თან დაყენებული დიდი ზარბაზნებიც შეებრძოლნენ იმ ციხე-დარბაზს. ამასობაში პოლკოვნიკი ფედლეში და გენერალი ძაისული სხვადა-სხვა მხრიდგან ებრძოდნენ განდგომილებს, რომელთაც საქმე გაუჭირდათ და ზარბაზნის სროლაც შესწყვიტეს. მაშინ ქვეითი ჯარი გიშლით ძვივიდა იერიშით ქალაქზედ და გაჩნდა საშინელი ბრძოლა. ავსტრიელების ჯარს ყველა სახლებიდგანს როდნენ, ყველა კარის ჯუჯუტანიდგან, ყველა ფანჯრიდგან. თვით დედაკაცებმაც და ავათმყოფებმაც და დაჭრილმა განდგომილებმაც, საავათმყოფოში მყოფთა, მიიღეს ბრძოლაში მონაწილეობა; ეს ბრძოლა გაგრძელდა ნაშუადღევის ორი საათის ნახევრამდის. ამ დროს ახირებული შემთხვევები მოხდა ველური ფანატიზმისა, და მხოლოდ მადლობა ჩვენი ჯარის კეთილ გულობასა და წესიერებას, რომ ქალაქი მაზედ მომეტებულად არ წახდა. ზოგი ერთი სახლი ცეცხლის მახვერპლათ შეიქნა. ჩვენი მარცხი სამწუხაროდ უბრალო არ არის. ნაშოვნი დაველა ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი. ბანდგომილები ყოველ მხარეს გაიქცნენ და უფრო ბოოსნიისა და როგატიცისკენ. ბრძოლის გათავებისა და ქალაქის სრული დაჭერის შემდეგ ციხეზედ ამართულ-იქმნა საიმპერატორო იალქანი, რომელსაც უსალამა მუსიკამ სახალხო ჰიმნით; 101 ზარბაზნის სროლამ და ჯარის და ქრისტიანი მცხოვრებლების უთვალაეს ხმაურობამ და აღტაცებამ.

რუმინია

— რუსულ გაზეთებში იწერებიან არზრუმიდამ, რომ არდაგანის ატრიადის უფროსად დანიშნულია ღენერალი ტერლუკასოვი.

ბათუმისა და იმისი ოკრუღის დაჭერა ჩვენგან, თათრების თანხმობით, ამ მარიამობისთვის 25-ს შესრულდებაო.

თათრების აწატოლიის არმიის უფროსი ექიმისაგან მოწერილობა არისო, რომ ყველა, არზრუმში მყოფი, დაბალი ჩინის ავათმყოფები გამოიყვანონ იქიდამ უთუოდ 20 აგვისტოსაო.

— გაზეთი „ახალი დროება“ გვაცნობებს, რომ სულეიმან-ფაშა, რომელიც დაამარცხეს რუსის ჯარებმა შიპკოს გასავალში, უნდა სიკვდილით დაისაჯოს— დაიხვრიტოსო. იმას გარდა, რომ უთავბოლოდ დაღუპა ჯარები, სულეიმან-ფაშა დანაშაულია სულთანის აზიზის სიკვდილშიაცაო.

„არა თუ მარტო სულეიმანს დახვრეტენ, მტკიცედ უთქვამს კორრესპონდენტისთვის ერთ მოხუცებულ თათარს, სასიკვდილოთ განსჯიან ყველას, ვისაც კი მონაწილეობა მიუღია აზიზის სიკვდილშიაო.

რაგორც იძახიან ჩვენი მოხუცებულები, ეს ლექსი ერთ აქ დამსწრე მეომარს გამოუთქვამს ბელა ნათელაშვილზედ:

„ახლა ქება ჩამოვთვალოთ ქართველთა გმირებისაო,
არაგვზე მტერი აშალეს, არაგვის ფშნელების პირსაო,
ღვთის მეტმა არავინ იცის, საით ულაშენ პირსაო;
ბელამან გზასა გახედა, „მტერი თავს დაგვესხმისაო“.

—

ეა ბაზალეთი ბიორგი ნაჭერი არის კლდისაო,
მოჯამაგირებს არიგებს, როგორც რომ მამა შვილსაო,
მოჯამაგირემ შეჰფიცა, ფიცი მაღალი ღვთისაო,
„ბუშინ წინ ღორში ვიყავი, ბელადი ვნახე მტრისაო;

—

დაუჩოქე და ვესროლე, მოვარტყი გულის პირსაო!“
— შენ, ბიქო, მარჯვედ ვერ გიკრავს, ვაი შენ ბიორგისაო,
მაგ თოფის ამბავი ვიცი, თუ ვისმეს სადმე მოხვდება.
ფაცხლაევ დასცემს ძირსაო.“

—

ბიორგიმ მოსვენება ჰქნა, ტკბილათ აპირობს ძილსაო,
შუა ღამე რო შეიქნა, ელვა შეიქნა ცისაო,
ლეკები თავზე დაწვნენ ვერძეულ ბიორგისაო;
ბიორგიმ წამოიწივა, ლეკი ჩაიგდო ძირსაო;
ურჯულოს ხანჯალი დასცა, შაშვივით ალებს პირსაო,
პატარა ბიჭი ბიორგი ცხარე ცრემლითა სტირსაო.
ბერუა ხანჯალსა ლესავს, ალმასივითა ხდისაო!
ბიჭო! რატომ არ მიშველი, თქვენი ვარ, განა სხვისაო!
ბიორგი მანგლისს წავიდა, როგორც ბორბალი წყლისაო,
ისე აკაფა ლეკები, ვითა ტოტები ხისაო,
ბერუამ სიტყვა გამოთქვა, შაირი გამოდისაო,
მოდი ხელი-ხელს გადავხვიოთ, პირობა შეეკრათ ღვთისაო,
ღიღმურ ბიჭებს გადავხედოთ, დავკიოლოთ მაღლა ხმითაო;
ოჩრი ურჯულო ბელადი ხვეისა პირსა ზისაო,
ოფი მთავრული უჭირავთ, კონდახი იფნის ხისაო,
ბიორგიმ ხელი მოისო, ბეჭებში სისხლი სდისაო.
მანგლისს აქებენ ტაძარსა, ნაკეთი ქვითკირისაო,
შიგ ბევრი ლეკი აწყვია, ნახოცი ბიორგისაო,
შიშით კაცი ვერ მიუვა, კბილებში მატლი ზდისაო,
ისე ამბობდა ბიორგი ლაშქარში მეფის თვისაო!
ბოლოსა მოკლეს საწყალი, ლაშქარში მეფის თვისაო,
ლექსათ გამოვთქვი მე ქება, ქართველთა გმირებისაო.

ნათელაშვილს სახელად სწოდებია ბიორგი; რადგანაც საშინელი მეომარი კაცი ყოფილა და მეფის ერთგული, ამის გამო ლეკებს და თათრებს დაურქმევიათ „ბელა“ (მგელა). ბოლო ბელა სცხოვრებდა, ვერც სპარსეთიდგან და ვერც დაღისტნიდგან მტერი ვერ მოდიოდა საქართველოში, რადგანაც ბელას რაინდობა, მეფის მამულის მტკიცე სამსახური და ქართველების სიყვარული მთელ სპარსელ-ლეკებში მოფენილი ჰყოფილა.

ზ. მაწმინდელი

ნარევი

შეიდასი წლის ხე. საფრანგეთში ჰყოფილა ერთი ცაცხვი, დარგული 1152 წელს ბერებისგან, რომელიც ძალიან უზარ-მაზარი რამ გაზდილა. მიწიდამ კაცის სიმაღლეზედ ეს ხე არის სიმრგვალივ 6 მეტრი (თითქმის 3 საჟენი) ძირში 10 მეტრი (ოთხ საჟენზე, მეტი) იმისი ფოთლები აჩრდილებენ 190 მეტრ ადგილს სიმრგვალივ (თმთქმის 95 საჟ.)

***

ერთმა სახლის პატრონმა, რომელიც საზაფხულოთ ცხოვრობდა სოფელში, გაიგო, რომ იმის სახლები ქურდებმა რამოდენჯერმე გატეხეს და წაიღეს რამეები. სახლის პატრონმა დააყენა კაცი თვალ-ყური დაიჭიროს. ერთ ღამეს ყარაულს შემოესმა ხმაურობა, და გამოვიდა ბალკონზედ და დაიწყო აქეთ იქით სრბილი, ბრახუნი. ეს გაიგონა იქვე ახლოს მდგმურმა აფიჯარმა და იფიქრა სწორეთ ეს არის ჩემი მეზობლის ქურდი.; აიღო რევოლვერი და გაისროლა. ყარაული შეშინდა და გადახტა ბალკონიდამ. აქიმას მიცვივდნენ ღამის გუშაგები ქუჩის მცველები, დაიჭირეს შეშინებული ყარაული და თუმცა ეს ბევრნაირად ცდილობდა დაერწმუნებინა, რომ არ არის ქურდი, მაგრამ მაინც ჩასვეს ნაობახტში. ამ ღამეს ქურდებს დარჩათ ბურთი და მოედანი. ყარაული მეორე დღეს გაანთავისუფლეს.—

***

ამერიკაში გამოჩენილა ერთი ისეთი შესანიშნავი ისრის მროლელი, კარვერი, რომელსაც თავისი არა ჩვეულებრივი სიმარდით სროლაში გადაუჭარბებია ყველა ამ დროში გამოჩენილ მსროლელისთვის. ერთხელ კარვერი დაენაძლიერ, რომ ის 500 მინუთის განმავლობაში გასტეხს 5,500 მინის ბურთებს (მაგრებს, რასაკვირველია). ეს საინაძლეო მოიგო იმან 5,500 შარების დასამტვრევად იმას დასჭირვებია 6,208 გასროლა.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ოდესსა, 18 აგვისტოს. გუშინ მოხდა პირველი მგზავრობა გემებისა, და შქუნებისა, რომლითაც გადიყვანეს 18,000 კაცი რუსის გვარდიისა სან-სტეფანოდამ სევასტოპოლსა და ნიკოლაევში.

ვენა, 17 აგვისტოს. ბამოსული გვარდიის ჯარის მაგიერ რუსეთის შიგნითი მხარეებიდგან მოდიან ახალი რუსის ჯარები და წინა პოზიციებს იჭერენ კონსტანტინოპოლის წინ.

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული ბრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნი მაღაზიებში,
ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

მიხელსონის სტაბაში,

რომელიც იმყოფება ბარალეინის პროსპექტზედ, ჩითახოვის სახლში, მიღებულია ყოველ ნაირი **ახალი ქართული შრიფტი,** ე. ი. ასოები.

მსურველს შეუძლიან მომართოს ამ სტამბას ქართული ბროშურებისა და წიგნების დასაბეჭდათ.

ბერენშტამის წიგნის მაღაზიაში, თფილისში, ბალაეინის პროსპექტზე, ისყიდება რუსულს ენაზე დაწერილი წიგნი „ბატონ-ყმობის უფლება საქართველოში“ („Крѣпостное Право въ Грузіи“). თითო წიგნის ფასი თხუთმეტი შაურია, გაგზავნით ოთხი აბაზი.

ვისაც ჰსურს მოიპოვოს **ახალი კევრი** შეუძლიან მიჰმართოს ნ. ავალიღვილს, (ქუთაიში, ელისავეტინსკი-ეუჩაზე, № 108), რომელიც კისრულობს ამ კევრების გაკეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.

გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

„ნინო“

მოთხრობა თავადი რაფიელ ერისთვისა.

ფასი 15 კაპეიკი.

იქავ ისყიდება იმისივე

„იგავ-არაკნი“

გამოკრებილნი საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუიდამ“ და გალექსილი თ. რაფ. ერისთვისაგან.

ფასი ორი შაური.

რკ. გზა.	დილ.		ს ღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორ. . . .	11	5	9	43	2	40	1	33
ხაშური. . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამ. . .	1	44			4	42	2	46
უვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	5			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი . . .	12	13			3	4	1	69
უვირილა . .	1	18	ღამ.		3	98	2	21
სურამ. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორ. . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილ სი. .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ.
ოდეს სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს	1	—
ბორს, ფუშეთს, სიღნაღს . .	—	50
როსტოვ, ოდესს, მოსკოვ	2	—
პეტერბურგ, ვარშავას	2	—
ოსმალეთს, შვეიცარიაში.	3	—
იტალიაში და ს ფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთ — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქალაქს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში		